თამარ სვანი-ნიჟარაძე

# ემიგრანტი ქალი



გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2021



© თ. სვანი-ნიჟარაძე, 2021
საავტორო უფლებები დაცულია

გამომცემლობა „უნივერსალი", 2021
თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-033-9

# რედაქტორის წინასიტყვაობა

როცა ტკივილი შეგხვდება, სული თანდათანობით, ძირს დალექვას დაიწყებს, ეს რომ არ მოხდეს, ხორცს არ უნდა მისცე ზეიმის საშუალება. უნდა იბრძოლო, რათა სული იხსნა ტანჯვისაგან. სწორედ ეს იყო მიზეზი, ამაყი სვანი ქალბატონის, თამარ ნიჟარაძის, რომ დაეტოვებინა შვილები და საზღვარგარეთ, წასულიყო, რათა ობლებს ლუკმა ქონებოდათ. ოცდათორმეტი წლის ქალბატონმა დარდის მდინარეში ვეღარ გაძლო და ეკლიან გზას დაადგა. მაინც რა არის დედაშვილობა, რას არ მოიფიქრებ, რომ შვილებს არაფერი აკლდეთ. წავიდა, დარდის მდინარეს გაცილდა და ნოსტალგიის ფიქრთან დასახლდა. გულმა ვერ გაუძლო ტკივილს და ლექსებად დინება დაიწყო სულის არეალიდან. დაგროვდა ცრემლიანი სტრიქონები და ჩათვალა საჭიროდ, რომ წიგნად გამოეცა. ეს ქალბატონ თამარ ნიჟარაძის პირველი პოეტური კრებულია. მკითხველი კრიტიკულადაც, რომ მიუდგეს, საგანგაშოს ვერაფერს დაინახავს. ეს წიგნი „ემიგრანტი ქალი“ მისი პირველი თოთო ნაბიჯია, რაც იმას ნიშნავს, თანდათან გაიმართება, დაიხვეწება. მე ღრმად მჯერა, რომ დაიმ-

კვიდრებს ქართულ პოეზიაში ადგილს. ამჯერად ეს, მისი გულის ამოძახილია, რომელიც ფურცელზე გადმოიღვარა.

ქალბატონ თამარს ვუსურვებ, პოეზიის მწვერვალების დაპყრობას და სამშობლოში დაბრუნებას.

**გულნაზ ხარაიშვილი**
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის
პრეზიდენტი , ჟურნალ ,,ათინათის,, მთავარი რედაქტორი
– პოეტი გალაკტიონ ტაბიძის პრემიის მფლობელი

# ემიგრანტი ქალი

ფიქრმა გონება გაიტაცა,
დაფრინავს საქართველოს მთებში,
გულმა მონატრება გამოხატა,
დარდმა გადამტეხა წელში.
შენთვის ვილოცებ საქართველოვ,
ჩემთვის ხარ მარგალიტის თვალი,
იქნებ, გაიტანო ლელო,
გლოცავს, ემიგრანტი ქალი!



# ჩემო სვანეზო

მე ჯიხვთსაუფლოდან ვარ და...
სადაც არწივი ყივის,
მივყვები ლოცვებით ცას,
არ მეშინია ტყვიის.
ტაძრები ზეცის ტოლია,
სეფეს სიწმინდეს ვფენ,
ხან ვარ ცის მაგნოლია,
იქ, მეგულები შენ.
სვანი ვარ, სიტყვა მტკიცეა,
არ გაპატიებ ღალატს,
სიტყვა არ არის მყიფე და...
არასდროს არაფერს ვმალავ.
სისხლი სვანის მაქვს ძარღვებში,
განსაკუთრებით მტკიცე,
რომც ვიყო დარდის ძაძებში,
მიწას არავის მივცემ.



# სარკის წინ

ძალა გამოცლილი, ვდგავარ სარკის წინ
ჩემს თავს ათას კითხვებს ვუსვამ,
შენ არ მეგულები შინ და....
კარგო, ეკლები მსუსხავს...
ვინ ვარ საერთოდ,  ან ვისღა ვჭირდები,
ტანჯვას დასასრული არ აქვს...
არც შენ არაფერს მპირდები და...
სიცოცხლე ღრუბელ-ღრუბელ დაგაქვს.
ნაოჭები დარად დაფენილა,
ასაკს მახსენებენ ურცხვად,
ფიქრები შენსკენ გაფრენილა,
ცოტა კი არა და უხვად.
ბევრი დარდი და ბევრი ტკივილი მაქვს,
ნაოჭმა დამიფარა სახე,
სიცოცხლე ნისლიან ღრუბლებს გავს და...
ბედმაც დამიგო მახე!



# რატომ ტირის

რატომ ტირის გამუდმებით ემიგრანტი,
რად არ შრება დარდიანი ცრემლი?
ეს დრო არის უსაშველო, მართლაც ანტი,
აღარავის მოფერებას ელის.
თუ იღიმის ემიგრანტი, გულით ტირის,
თავს გაჩვენებთ, თორემ დარდთან სძინავს.
საზღვარს იქით გაუგზავნეთ, სითბო მწირი,
მოეფერეთ, სიტყვით მაინც ხშირად!




## მონატრება

მე თქვენ მონატრებას, გულით დავატარებ,
დედას არა ძინავს ღამე,
აქ, წლებთან ერთად დარდიც მემატება,
ფიქრია, რთული და მწარე.
ასე მათენდება დარდით მშფოთარეს,
ბიჭებო, დაიზარდეთ უჩემოდ,
ნეტავ, აქეთ ყოფნა დამთავრდეს,
ვცდილობ, თეთრი კბილი გიჩვენოთ,
დედა თეთნულდივით, მტკიცეა,
უშბასავით, სუფთაა და ამაყი,
აქ, დედი, სხვანაირი სიცხეა,
აქ, არ გეფერება, არავინ!

## ჩემო ქართველებო

ჩემო ერო და ბერო,
ნუ მოგერევათ შური,
სიცოცხლე შევიფეროთ,
ესაა შესაშური.

გადავარჩინოთ ერი,
სატანა მეფობს ყველგან,
გვიყვარდეს  მიწის მტვერიც,
რომ აგვცდეს გულის ელდა.



# რაზე ფიქრობ?

რაზე ფიქრობს ემიგრანტი,
დარდი დასდევს სახეს,
ყველა თვეა ჩემთვის მარტი,
ქარი ტოტებს არხევს.
ნუთუ მართლა დავიღალე,
ვეღარ ვუძლებ ლოდინს,
სხვა ქვეყნებში დავიღამე,
ცრემლი თვალზე მომდის.
ცოტაც კიდევ გავუძლოთ და...
მზე გვიღიმის ციდან,
იქნებ გულო, საყვარელო,
ღმერთი ჩვენ ორს გვცდიდა!



# ტელეფონის ზარი



ტელეფონის ზარზე...
დედა აფართოებს თვალებს,
სანამ ის ხმას გაიგონებს,
ჩუმად წამალს დალევს.
მერე ეტყვის, – რაა დედი,
ხომ არ გიჭირს, შვილო,
თუ რამ გტკივა, გენაცვლე,
მინდა შემომჩივლო.
თუ აწუხებს თვითონ დედას,
ვერ გებულობს შვილი.
რადგან დედა შვილის მიმართ
მუდამ არის ფრთხილი.
ცდილობს შვილმა გაიხაროს,
ლექსსაც გამოუთქვამს.
სევდა არ სურს გააკაროს,
გულს რაც დაუთუთქავს.



# დარდის მდინარე

დარდის მდინარემ გამიტაცა,
მივყევ დინებას,
ტალღამ იმ წუთში ხელი მსტაცა,
ცდილობს დამახრჩოს.
ზღვაო, ცრემლი ხარ, ეს სიმართლე
ნუ გეწყინება,
დედის დარდი ხარ, გაკვირდები,
ჩემს ცრემლს დარაჯობ.



# მამლის ყივილი

როცა განთიადი ინაბება,
როცა, მამლის გესმის ყივილი...
ფიქრი სადღაც მთებში იკარგება,
წამში გაიწყდება ტკივილიც...
დილით ძაღლის ყეფა გაგაღვიძებს,
აჟრიამულდება ბავშვები,
მინდა სვანეთის მთებს ავიდე და...
სადაც იზრდებიან, „მახვშები“...



# სიზმარი

სიზმარში დავრბოდი სვანეთის მთებში,
და კლდიდან კლდეზე, ჯიხვივით ვხტოდი...
თეთრი ბაბთები მეკეთა თმებში,
მთებო სიყვარულს გთხოვდი.
არ მაშინებდა ჩემი, ასაკი,
რადგან სიყვარულს ვგრძნობდი,
მესმოდა, წყლების წაკწაკ, რაკრაკი,
გრძნობას, ვერაფრით ვთმობდი!



## მუნჯი

სხვა ქვეყანას თუ წახვედი,
მაშინ უნდა იყო მუნჯი,
თუ დატოვე შენი მიწა,
ეს ნაბიჯი სიკვდილს უდრის.
ამ, აზრს სულ არ ვეთანხმები,
საქართველო დამაქვს გულით.
ჩემი ბაღი, ვენახები,
ჩემი ხელით გამორგული.
მე მახურავს, ჩემი ქუდი,
ჩემი ქვეყნის ადათ წესის,
იმიტომ ვარ, სხვისთვის მუნჯი,
იავნანა მილშიც მესმის.
მირჩევნია, როგორც ქართველს,
გული მივცე საქართველოს,
ვუყურებდე, ჩემს ერს ჯამრთელს,
ხასხასებდეს მთა და მდელო.



## სვანეთო

რას შეგადარო, სვანეთო,
მთებო, ამაყო ღვთისაო,
ვერა ვძლებთ უერთმანეთოდ,
შენ არ იქნები სხვისაო
ახლა მე ემიგრანტი ვარ,
ხომ მაპატიებ სვანეთო,
აქ სულ დარდი და წვიმა ვარ,
ეხლაც გულს ცეცხლი დამენთო!



## დამაბრალეს

ლექსის წერა დამაბრალეს,
გული სევდით ამევსო,
სხვა რა გზა მაქვს, ამ ლექსებით,
მინდა მოგეალერსოთ.

ან რას დავწერ ლექსში ამდენს,
გული რასაც მკარნახობს,
სადაც წავალ ყველგან დამდევს,
ლექსსაც უნდა რომ გნახოთ....

ღმერთი ვიცი, მიწყალობებს,
რომ სამშობლო ვიხილო,
მოვალ მალე, ასე მჯერა,
დავჯდეთ, ერთად ვილხინოთ.

ვიცი, სითბოს დამახვედრებთ,
გაყინულ გულს გამითბობთ,
შვილებო და შვილიშვილნო,
ჩემს წილ ლუკმას დაგითმობთ.

# მონატრება

იცით? თქვენმა მონატრებამ,
გადამრია სიზმრებში,
დრო მიდის და მიჯირითობს,
მონატრების ფიქრებში.
ამდენ შრომას, მონატრებას,
ღმერთო, მათთვის გავუძლებ,
ასაკიც კი მემატება,
საქმეს როგორ გავუძლვე.
ღმერთო, მალე დამაბრუნე,
უშგულში და უშბას,
მე რაც მტკივა, იმ მთებს მინდა,
ჩუმად ყურში ვუთხრა.



## ლელა ონიანს

რა უნდა მადლის დანახვას,
სულში თუ არ დგას სიბნელე,
ლელა ონიანს  შეხედეთ
რომ გადალახა სიძნელე.
მის გარეგნობას ამშვენებს
შემკული სიტყვა სვანური,
მტერს სიტყვით გადააშენებს,
ქალია, ხმა აქვს კაცური.
თუ დაგჭირდებით აგერ ვარ,
არსად დაიწყოთ ფანცქალი.
მის სიტყვას ისეთი ფასი აქვს,
როგორც მახვშისგან ნათქვამი,
ყველას გვამხნევებს შორიდან
აურა მოდის მაგარი,
დიდხანს გვეყოლე ლელა და...
რომ  ჩვენ გვიჩვენებ მაგალითს.
ქალი მთა, ქალი ლეგენდა,
შენით ამაყობს სვანები,
გული აქაც შენ გეძებდა,
მომრავლდეს შენისთანები!

# ეთერ ჭელიძეს



შენ კალმის ჩრდილში მამყოფე,
პოეტო, ქალო ეთერი,
ლექსები ისხამს ნაყოფებს,
გიძღვნი, რაც მგონი შეგფერის.
მეამაყები, მვირფასო,
ქალი ხარ, მაჩვშის სადარი,
მე შენნაირი მიყვარსო,
შენშია სულის ბაღნარი!

* * *

სვანებს არ უყვართ ღალატი,
არც ზურგში დანის ჩაცემა,
სული არა აქვთ ჯალათის
არ უყვართ სიტყვის გატეხვა,
არ გიღალატებს, არ გაგცვლის
და არც შეგარჩენს ღალატსა,
სიტყვებს სულ დინჯად დამარცვლის
და ძილშიც იცავს ადათსა.



* * *

ევროპელიაო, ჩემზე ნუ იტყვით,
თორემ წყენაში ჩაგითვლით ნათქვამს.
მე სვანი ვარ მთებში გაზრდილი და
სვანეთში მირწევდნენ აკვანს,



* * *

მე რა წამაქცევს
ჯიხვის ხორცით გაზრდილს,
მე რა წამაქცევს
დათვის კუბდარი მაქ ნაჭამი,
მე რა წამაქცევს
სვანეთის მთებში გაზრდილს,
საზრდოდ მუდამდღე
მჟავე წყალს ვსვამდი,
არ წავიქეცი არასდროს, არა,
მე ბავშვობაში მინდა დავბრუნდე –
შემოვურბინო ჩემს მამულს ლაღად,
არასდროს მინდა დავბერდე,
დაგიბრუნდები მამულო, ჩემო,
სამარადისოდ ტყე რომ ბიბინებს,
დაე, გაბრწყინდეს ის საქართველო,
სადაც მე ლაღად უნდა ვირბინო...

* * *

მიყვარს ჩემი უშბა, შხარა,
თეთნულდი და ენგური,
ცხენისწყალი შხუილა
და ბუნება ველური,
ცად აზიდული, ამაყად მდგარი
ჩვენი სვანური კოშკები,
მიყვარს სვანის ლილეო და
მიყვარს სვანის რიჰოი,
მირანგულა ჭუნირზე და
ზარის შემომახილი.

## ჩემო ქართველებო!

ყველას გევედრებით, არ გაყიდოთ,
მიწაა ხელუხლებელი.
უფალი ერთიანად ვადიდოთ,
რომ გვერგოს სასუფეველი.

## დედასავით საყვარელო

(გულნაზ ხარაიშვილს)

რამდენ ჭრილობას მაყენებს ცხოვრება,
რამდეჯერ მატკინა მავანმა,
სიცოცხლე არ არის განმეორება,
ჩემი პატრონი თავად ვარ.
გული რომ მატკინეს, როგორ მიმიხვდი,
დაჭრილი გული შორიდან არ ჩანს,
შენ დედასავით დამიხვდი,
სითბო, რა ტკბილად დამრჩა.
შენმა სიტყვებმა, მომაძლიერა,
გული ამინთო მზისებრ,
სიცოცხლე ვიგრძენ წამიერად და...
მითხარი, შვილო, გისმენ.
ო, რა თბილი იყო, ეგ, სიტყვები,
რა საამო და წყნარი,
იმ დღიდან ყველაფერს გიყვები,
აღარ ვარ ცოცხალ-მკვდარი.
ფიქრში გიწოდე, ქალღმერთი,
რადგან გხედავდი დედად...
შენა ხარ, დე, ერთადერთი,
ვისთანაც სიტყვას ვბედავ.



* * *

მე საქართველოს ვეძებ მზის ფერით...
იმ საქართველოს, მე რომ დავტოვე...
ახლა მამულში არავინ მღერის,
მიწა გავს დათვის ნატორებს.
არც სიყვარულია, აღარც მშვიდობა,
რა ჯვარცმა არის ასეთი,
ყველას მოუნდა სკამი და დიდება,
მიწაც იყიდება დაკვეთით.



# დედის მონატრება



დრო მკურნალიაო, ამბობენ...
არ ვეთანხმები, რა ვქნა.
დედა მე ახლაც მაბოდებს,
ცრელით ეს გული დადნა.
როცა დედას ვჭირდებოდი,
არ ვიყავი მასთან,
დე, უჩემოდ ბერდებოდი,
მონატრების ზღვასთან.
დღე და ღამე ლოცულობდი,
არ მტკენოდა რამე,
ახლა როცა დავფიქრდები,
თეთრად ვათენებ ღამეს.
გარდიცვალე, ვერ გიტირე,
გაგყვა ჩემი დარდი,
აქ, შორეთში კი ვიყვირე,
ახლაც ცრემლი დამდის.
დედა აღარ მელოდები,
აღარ მეტყვი შვილოს,
დარდით მივედ- მოვედები,
დედავ, ტკბილზე ტკბილო.

# სულაც არ მინდა

სულაც არ მინდა რომ დავემონო,
სევდას და ვიყო დარდის სამოსში,
არ მინდა ღრუბელს რომ დავემგვანო,
ღრუბელს რომელსაც ცრემლი ჩამოდის.

# დარეჯან ნიჟარაძეს



საფერებელ სიტყვებს ვეძებ,
შენ რომ მოგეფერო დაო,
ლამაზი ხარ დაჯი მზეზე,
შენ ხარ სიყვარულის ზღვაო!

## მთაში

ნეტავ, მთაში წამიყვანა,
ბილიკს ამადევნა კენტად,
ყინვამ გული გამიყინა,
ტუჩებს სიმწრით ხშირად ვკვნეტავ.
მოჭიკჭიკე ფრინველებმა,
შემასწავლონ თავის ენა,
რომ მეც ვიგრძნო სურნელება,
და სამყარო, ჩემი შევქმნა.
საქართველოს, მთას იმ შარას,
გავიყოლო მგზავრი ბევრი,
ამისრულდეს ნატვრა ჩქარა,
მოვიარო მთა და სერი.
ჩემს უშგულში სხვა ხალხია,
იქ, თამარის კოშკი არის,
წინაპრები იქ მარხია,
იქ ჩურჩულიც მესმის მთვარის!



# ბებერ მუხაზე

როცა წუნობენ, ნაჯაფარ მუხას,
სიძველის გამო ძირში მოვჭრათო,
ასეთი სულის ხალხს მე რაღა უთხრა,
რომ პურის ლუკმას ჭამენ მუქთათო.
რომ შეეკითხოთ რას იტყვის მუხა,
გეტვით იმას, რომ ჩრდილში გასვენებთ,
გვალვის დროს ერთხელ წყალსაც არ უსხამთ,
წყენას თვით მუხა, არც კი გახსენებთ.
თქვენ კი ნაჯახი მოგიმარჯვიათ,
დაუფიქრებლად გინდათ, რომ მოჭრათ,
მიდით მოჭერით, ხარჯი-ხარჯია,
ამბობს მუხა და... ქვითინით მოთქვამს!



## ადამიანო

ფიქრიც არ მინდა იმაზე,
გარდავიცვლები სხვის სახლში,
ვოცნებობ, ლამაზ მთა ბარზე,
ფიქრიც იწვება ხანძარში.
არ მაქვს უფლება დავლიო,
სული აქ უცხო მხარეში,
გულს აიტვიფრა დაღიო,
ვიძინებ სიმწუხარეში.
არ მაქვს უფლება,
შიშმა შემიპყროს,
მაგრამ განგაშის ზარია,
დარდო, შენ არსად გამრიყო,
გლოვა და სიმწუხარეა.

## უფალო

თუ ყვავილი დაჭკნება,
არ იბიბინებს შროშნები,
მომიწევს ისევ დათმენა,
რას იგალობებს მგოსნები.
თუ მწვანე არ იარსებებს,
არ გაიზრდება კაკალი,
თუ ლოცვით არ შეგერგება,
შიშით დავიწყე კანკალი,
რა არის მაშინ ცხოვრება,
ყოფნას, არ ყოფნა ჯობია...
დარდი შიგ გულში გროვდება,
ემიგრანტობა ომია.



# ფრთები

ფრთები რომ მქონდეს გავფრინდებოდი,
შემოვუფრენდი ჩემს საქართველოს,
ერთ წამსაც აღარ დავფიქრდებოდი,
ჩამოვივლიდი მანდ, საყვარელო.

გზას გავყვებოდი უშგულისაკენ,
თამარის კოშკთან შევისვენებდი,
ხან შევივლიდი ჩემი ძმისაკენ,
მჟავე წყლით პირსაც დავისველებდი.

თავს წავუქცევდი, ჩემს ძველ წინაპრებს,
გაუყვებოდი ვიწრო ბილიკებს,
მგონი ავყევი ახლა ზღაპრებს და...
დავინახე რომ ქარი ქილიკებს!.



## ცოდვები

სადაც რამე მოხდება,
ყველგან კაცის ხელია.
ცოდვიანი მოკვდება,
ჯოჯოხეთში ელიან.

სამყარო რომ გადაწვი,
სული ეშმაკს მიჰყიდე,
დაგინახე, წაგაწყდი,
სული გამოისყიდე.



# სიჩუმე

ჩემს გულში სიჩუმემ დაისადგურა,
თითქმის გამიქრა ცრემლიც...
თუმცა მე დარდმა გამანადგურა,
გულში ტკივილი კვნესის.
არავინ იცის თუ რა ძნელია
გადამალული სევდა,
შენ გენატრება და არ გელიან,
რადგან არა გყავს დედა.
ჩემი ღიმილი სიყალბე არის,
თუმცა მიყვარხართ ყველა,
ემიგრანტობა სულ ცრემლი არის,
დრო მიდის ნელა-ნელა!



# თვალებში

ო, როგორ მინდა, ჩამხედოთ თვალებში,
ამოიკითხოთ, რაც მჭირს,
ტკივილი დადის სევდის ყანებში,
ვგავარ გულდანაგაყრილს.



## როცა ჭირდები

თუკი ცხოვრებამ არ გაგიმართლა,
თუ აგატირა ბედმა...
ბედი ცრემლისთვის თუ ისევ გნათლავს,
გული ქვავდება კლდედ და...
მოძლიერდები სხვის საამებლად,
სხივს გაუბრწყინებ თვალში,
სიკეთე გახლავს, იმ წუთში მხლებლად...
არვის დარჩები ვალში.
ე, მაშინა ხარ ადამიანი,
შენში მადლი რომ მეტობს,
შენ უნდა იყო სანდომიანი,
გულში მზის სხივი გენთოს!






დედა – ლამარა კაკრიაშვილი მამა – ავთანსილ ნიჟარაძე

ჩემო მშობლებო, ვარ თქვენი შვილი,
გაუტეხელი და ამაყი,
ხან დარდიანი, ხან მზეთა შვილი,
დარდებს სულ ჩქარე გადავყრი.



დავით ნიჟარაძე

## ძმას

ძამიკო, ჩემო იმედო,
დინჯო და ერის კაცო,
მინდა, რომ დაგაიმედო,
კარგი ამბავი გამცნო,
არსად შეგარცხვენ, ძამიკო,
მე ვარ, ამაყი სვანი,
აქ, რომ ვარ უნდა გამიგო,
დარდით ვარ ზევრჯერ მთვრალი!



ავთანდილ გელენიძე და ნატალია კვიციანი

## ნატალია და ავთანდილ

დარდი არასდროს შეგხვდეთ,
გულს მონატრება მათოვს,
მე თქვენ ოჯახი განდეთ,
აქ სურათები მათბობს.
თქვენ მოგახმაროთ ღმერთმა,
თუნდაც მადლობაც არ თქვათ,
ფიქრით მაინდ ვცხოვრობ თქვენთან,
ერისთვის სიტყვა გეთქვათ.



თეონა ფანცულაია და დავით გელენიძე

## დავითს და თეოს

დავით და თეო, მიყვარხართ,
ვცდილობ, რომ გაგახაროთ,
ჩემს გულში მყავხართ, აქა ხართ,
დარდი არ გაიკაროთ,
თქვენ გაამრავლეთ შვილები,
ამიმზიანეთ ფუძე,
თაფლზე ძალიან ტკბილებო,
თქვენთვის ყველაფერს ვუძლებ!



## (დაიკოს)
## თამილა ნიჟარაძეს

თამილა ჩემი ბავშობა,
იყო ცელქი და ლაღი,
მთებში გვიყვარდა ლაშქრობა,
გვეძინებოდა დაღლილს.
ახლა შორსა ვარ დაიკო,
მოგონებებით ვხარობ,
ვცდილობ არავინ გამრიყოს,
მტერი არ ვახარხარო.



## (დაიკოს)
## თაიზა ნიჟარაძეს

დაო, ვიცი ჩემზე დარდობ,
ღამეს ჩემთვის ტეხავ,
გულის ნადებს, შენ ერთს განდობ,
შენზე ვფიქრობ ეხლაც....
მომეშველა სამეგობროდ,
შენს მაგივრად ლექსი,
კარგადავარ ჩემო გოგო,
ლექსის ენა მესმის,!



შვილიშვილი ელენე გელენიძე

თვალხატულა ელენიკო,
მზეს სჯობიხარ მგონია,
ყველგან მინდა ფრთხილად იყო,
ნაბიჯს მუდამ წონიან!



## ანა გელენიძე

ბებო, შენ გაქვს ხატვის ნიჭი,
გლოცავ, ღვთის გზით იარე,
აქეთ რომ ვარ ძალზედ მიჭირს,
ფიქრით შემოგიარე!













*ანა გელენიძის*
*შემოქმედება*



## ზურაბი გელენიძეს

ეროვნული ბიჭი იყავ,
ბებოს ზურაბიკო,
მეგობრები ვიცი გიყვარს,
არვინ დაიბრიყვო!



## ალექსანდრე გელენიძეს

გაიზარდე დიდი კაცი,
ალექსანდრე ბებო,
სიტყვა გეთქვას კაცურ – კაცის
სიტყვა სანაქებო!



## თამარ გელენიძეს

შენ ბებოს მოსახელე ხარ,
ტანით ნაზ იას გადრიან,
ჩემი სხეულის მარჯვენა ხარ,
თვალებს გამიბრწყინებ ავდრიანს!



## დამტოვე

შენ დამიტოვე ობლად შვილები,
სულ პატარები დარდებთან...
შენს მტერს არ გავაცინებდი,
ბედი მე შენს თავს მართმევდა.
ცალუღელობა გავწიე,
არ გაგიცივე კერია,
თქვენთვის სიცოცხლე გავწირე
ჩემთვის ცა სევდის ფერია.

## სამადლობელი ემიგრანტისგან



## ხრისტოს ზერეფოს და ეფი ზერეფოს

ეფი და ხრისტოს, როგორ გაფასებთ,
თქვენს თვალში ვხედავ, მზის გაბრწყინებას.
ჩემს საამებლად არ გთხოვთ არაფერს,
თქვენა ხართ ჩემი ბედნიერება.



**ნენი ნიკოლოპულო სტამატისს**

შენ, ქალნატონო, გაღმერთებ,
მათბობ ვით მზე საქართველოსი,
ჩემ გულს, შენ გულთან ვაერთებ,
ლექსს გეტყვი სადღეგრძელოთი!

**მიხალის პეტრაკი დინი პეტრაკი**



მიმიღეთ ისე, ვით თქვენი შვილი,
შვილი დაღლილი ბედისწერისგან,
მე არა მქონდა ცხოვრება ტკბილი,
თქვენ არ მარჩევდით,
სახლის წევრისგან.

# სარჩევი

რედაქტორის წინასიტყვაობა ........ 3
ემიგრანტი ქალი ........ 5
ჩემო სვანებო ........ 6
სარკის წინ ........ 7
რატომ ტირის ........ 8
მონატრება ........ 9
ჩემო ქართველებო ........ 10
რაზე ფიქრობ? ........ 11
ტელეფონის ზარი ........ 12
დარდის მდინარე ........ 13
მამლის ყივილი ........ 14
სიზმარი ........ 15
მენჯი ........ 16
სვანეთო ........ 17
დამაზრალეს ........ 18
მონატრება ........ 19
ლელა ონიანს ........ 20
ეთერ ჭელიძეს ........ 21
* * * სვანებს არ უყვართ ღალატი, ........ 22
* * * ევროპელიაო, ჩემზე ნუ იტყვით, ........ 23
* * * მე რა წამაქცევს ........ 24
* * * მიყვარს ჩემი უშბა, შხარა, ........ 25
ჩემო ქართველებო! ........ 25
დედასავით საყვარელო ........ 26
* * * მე საქართველოს ვეძებ მზის ფერით... ........ 27
დედის მონატრება ........ 28
სულაც არ მინდა ........ 29
დარეჯან ნიჟარაძეს ........ 29

მთაში ........................................ 30
ბებერ მუხაზე ........................................ 31
ადამიანო ........................................ 32
დაიცავ უფალო! ........................................ 33
ფრთები ........................................ 34
ცოდვები ........................................ 35
სიჩუმე ........................................ 36
თვალებში ........................................ 37
როცა ჭირდები ........................................ 38
ძმას ........................................ 40
ნატალია და ავთანდილ ........................................ 41
დავითს და თეოს ........................................ 42
(დაიკოს) თამილა ნიჟარაძეს ........................................ 43
(დაიკოს) თაიზა ნიჟარაძეს ........................................ 44
ანა გელენიძე ........................................ 46
ზურაბი გელენიძეს ........................................ 49
ალექსანდრე გელენიძეს ........................................ 50
თამარ გელენიძეს ........................................ 51
დამტოვე ........................................ 52
სამადლობელი ემიგრანტისგან ........................................ 53

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com